პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 მარტი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 45 (9456) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXXIII

ხვალ მუშაობას იწყებს საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობა

კონკრეტული სიტყვიდან, კონკრეტულ საქმეზე

ალექსანდრე შარაშიძე,
საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე ზრუნვა კომკავშირის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. განსაკუთრებით კი ახლა, როდესაც გარდაქმნა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს ეხება, მათ შორის სპორტულ მუშაობასაც. ალბათ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენი სპორტის წარმატებებში ახალგაზრდებს უდიდესი წვლილი მიუძღვით.

საქართველოს კომკავშირი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა სპორტის, ფიზკულტურულ-მასობრივი მოძრაობის წინსვლა-განვითარებისათვის. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, უფრო მეტი, ვიდრე უკვე გავაკეთეთ. დღევანდელობა დიდ მოთხოვნებს გვიყენებს და ახალგაზრდებს, კომკავშირს არ შეფერის ჩამორჩენა დროის მოთხოვნებს. იყო დრო, მუშაობა ფორმალური, მოჩვენებით ხასიათს ატარებდა, ეწყობოდა თითო-ოროლა სპორტული ღონისძიება და საქმე ძირითადად იმ ორგანიზაციებს აწვებოდა ტვირთად, ვისაც მათი მოწყობა ევალებოდა. გამოკვეთილად არ იგრძნობოდა კომკავშირის ხელი, ინიციატივა. სამწუხაროდ ხშირად სიტყვა საქმეს შორდებოდა. ცარიელი სიტყვებით კი, მოგეხსენებათ, სასიკეთო არასდროს არაფერი გაკეთებულა.

ახლა, საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის წინ შეიძლება თამამად ითქვას, რომ პირველი ნაბიჯები გადაიდგა და ეს ძვრები მიმართულია სპორტის მასობრიობის აღმავლობისკენ, მასობრიობა კი მუდამ იყო და იქნება დიდ სპორტულ სარბიელზე მიღწეული წარმატებების საწინდარი. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით მრავალ ახალ ღონისძიებას ჩაეყარა საფუძველი: სპორტის გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებებმა მინიფეხბურთში. თბილისის, რესპუბლიკისა და საკავშირო ტურნირებმა ნათლად დაგვანახა, თუ როგორ შეიძლება აამაღლო სპორტის ავტორიტეტი, მასობრივი ხასიათი მისცე მას და მაყურებელიც დაინტერესო. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის იმართება შეჯიბრებები მინიფეხბურთსა და კალათბურთში გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზებზე. ტარდება შეჯიბრება მძლეოსნობაშიც გაზეთ „ლელოს“ პრიზზე. საყოველთაო ყურადღების ცენტრში



წარმატება იუნიორთა საკავშირო ტურნირზე

სასიხარულო ცნობა მივიღეთ კიშინოვიდან, სადაც დამთავრდა ხაბეჭთა კავშირის პირველობა იუნიორთა შორის კლასიკურ ჭიდაობაში. ქვეყნისა და გდრ-ს იუნიორ მოცურავეთა ტრადიციულ სამატჩო შეხვედრაში რომ მოიპოვა.

შეჯიბრებაში, რომელიც ხარკოვში გაიმართა, მერაბ საყევარიშვილის აღსაზრდელმა ყველას აჯობა 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (შესაბამისად 3.58,2 და 15.50,58).

აღსანიშნავია, რომ არტიომოვმა 400-მეტრიან დისტანციაზე იგორ კუშპელიოვის რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა.

ხვალ „დინამოს“ სტადიონის კლუბში მოეწყობა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრებისა და ხელმძღვანელების შეხვედრა პრესის მუშაკებთან და გულშემატკივრებთან. შესვლა — მოსაწვევებით.

დასაწყისი 18 საათზე.

გამარჯვება რესპუბლიკური რეკორდით

საქართველოს მოცურავეები წარმატებებით არ გვანებივრებენ, ამჯერად ჩვენთვის ორმაგად სასიხარულოა ის გამარჯვებები, თბილისელმა იგორ არტიომოვმა („განთიადი“) ჩვენი ქვეყნისა და გდრ-ს იუნიორ მოცურავეთა ტრადიციულ სამატჩო შეხვედრაში რომ მოიპოვა.

შეჯიბრებაში, რომელიც ხარკოვში გაიმართა, მერაბ საყევარიშვილის აღსაზრდელმა ყველას აჯობა 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (შესაბამისად 3.58,2 და 15.50,58).

აღსანიშნავია, რომ არტიომოვმა 400-მეტრიან დისტანციაზე იგორ კუშპელიოვის რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა.

ს ურ ა თ ზ ე: თენგიზ თედორაძე.

საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი:

კლასიკური ჭიდაობა. სსრ კავშირის პირველობა იუნიორთა შორის. **ოქროს მედალი** — თენგიზ თედორაძე. **ვერცხლის მედალი** — გიორგი კოლუაშვილი.

ცურვა. სსრ კავშირ — გდრ-ის მატჩი. **იგორ არტიომოვი** — ორი პირველი ადგილი 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

საყვირილოგო საჩუქარი ჟურნალისტებს

გუშინ პლეხანოვის პროსპექტზე გაიხსნა განახლებული საფირმო მაღაზია „ჟურნალისტი“. ვრცელ და ნათელ დარბაზში ყველაფერია პრეხისა და პოლიგრაფიის მუშაკებისთვის. იქვე ცალკეა გამოყოფილი სპორტული ლიტერატურის სექცია. მაღაზია იღებს დაკვეთებს სპეციალურ და მეთოდურ ლიტერატურაზე.



გუშინწინ უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში თბილისის „დინამომ“ მოსკოვის არმიელთა კოლექტივი დაამარცხა — 77:67 (36:30). (შეხვედრის ანგარიში იხ. მე-4 გვ.).

გაგვახარებს ფეხბურთი?

ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის მოყვარულები ღირსშესანიშნავი სპორტული მოვლენის მოლოდინით ცხოვრობენ. 9 მარტს სსრ კავშირის უძლიერესი კლუბები დაიწყებენ ბრძოლას საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატის ჯილდოებისათვის. მღელვარებით ელის ახალი საფეხბურთო სეზონის დაწყებას ქართველ გულშემატკივართა მრავალათასიანი არმია. უძლიერესთა შორის ჩვენს რესპუბლიკას კვლავ ორი წარმომადგენელი ჰყავს — თბილისის დინამოელთა მრავალნაცადი კოლექტივი და უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „ლანჩხუთის გურია“.

● **რა იმედებით ხვდებით სეზონს?**

— ამ კითხვით დაიწყო საინფორმის კორესპონდენტის საუბარი რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარესთან **ნ. შ. ენდელაძესთან.**

— გამოგიტყდებით, ორგვარ გრძნობას განვიცდი, — ამბობს პატივცემული ნუგზარი. — როგორც ფეხბურთის მოყვარული მღელვარებით ველი დიდ დღესასწაულს და დაძაბული ჰიდილის, ლამაზი გოლების, ახალი ნიჭიერი მოთამაშეების გამოჩენის იმედი მაქვს. ერთი სიტყვით, ველი ყველაფერს, რაც ფეხბურთს ამშვენებს. მაგრამ ამავე დროს, როგორც სპორტულ მუშაკს, ბევრი რამეც მაშფოთებს.

● **რით არის გამოწვეული თქვენი შეშფოთება?**

— გულდამშვიდებული ვერ იქნები, როცა სიტყვა ქართულ ფეხბურთზე, ბის ბედ-იღბალზე ჩამოვარდება. ეს საკითხი ბოლო ხანს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა ორგანოების, მთელი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ამას წინათ იგი განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომაზე, რაც ადასტურებს პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას ქართული სპორტის და, კერძოდ, ფეხბურთის განვითარებისათვის.

რა შესძინა შარშანდელმა სეზონმა ჩვენს ფეხბურთს? რით გაამდიდრა იგი? იყო ცალკეული წარმატებები ჭაბუკთა დონეზე. მაგრამ, დიდი მოთხოვნების პოზიციიდან თუ ვილაპარაკებთ, მაშინ, ალბათ, მარტო „გურია“ იმსახურებს ქებას, სამაგიეროდ „თვალი ვერ მივადევნეთ“ ქუთაისის „ტორპედოს“ თვითმყოფად კოლექტივს, ამდენი თვალსაჩინო ოსტატი რომ მისცა ჩვენს ფეხბურთს.

დასანანია ჩვენი ახალგაზრდული გუნდის მარცხი სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის მე-9 სპარტაკიადაზე. ისევ გააწბილა თაყვანისმცემლები თბილისის „დინამომ“. შარშან გუნდი მეხუთე ადგილზე გავიდა — სატურნირო ცხრილით თუ ვიმსჯელებთ, მას სულ ცოტა დააკლდა საპრიზო ადგილამდე, მაგრამ, სამწუხაროდ, თამაშის შინაარსი და ხარისხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ახლა განა შეიძლებოდა კი კარგი თამაშის იმედი გვქონოდა გუნდისგან, სადაც გამეფებული იყო არაჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, კმაყოფაზე ყოფნის,

იხ. მე.2 გვ.

ელვა - ინფორმაცია

გუშინ თბილისის სპორტის სახახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და რიგის ვეფ-ი. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 93:83 (57:37).

მატჩი გაადიდო

გუშინ ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალური ეტაპის პირველი მატჩების დღე იყო.

როგორც საკადესი იტყობინება, თურქეთში არ შედგა სტამბულის „ბეშიქთაშისა“ და კიევის „დინამოს“ შეხვედრა. ეს მატჩი დიდთოვლობის გამო გადაიტანეს.

მოსკოვის ტორპედოელთა მატჩი თასების მფლობელთა თასზე საფრანგეთის „ბორდოსთან“ გვიან ღამით დამთავრდა.

შეხვედრა ჟურნალისტებთან

დღეს თბილისში ტარდება საქართველოს ჟურნალისტთა VII ყრილობა. ყრილობის დელეგატები გუშინ სტუმრად მიიწვიეს რესპუბლიკის ცალკეულ სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში.

საქართველოს სპორტსახკომში ჟურნალისტებსა და სპორტსახკომის ხელმძღვანელებს შორის გამართული საუბრისას შეეხნენ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესებს და დიდ სპორტთან დაკავშირებულ პრობლემებს. შეხვედრისას ხაზი გაესვა პრესის პროპაგანდისტულ და მაორგანიზებელ როლს სადღეისო ამოცანების გადაჭრაში.

კონკრეტული სიტყვიდან, კონკრეტულ საქმეზე

(დასასრული)

შია ტურნირი ქართულ ჟიდაობაში სოფლებისა და ქალაქების უბნების გუნდებს შორის საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმ. აღსანიშნავია, რომ ის შეჯიბრებები, რომლებიც უკვე დამთავრდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ კვლავ განახლდება და ალბათ ტრადიციულიც გახდება, ისევე როგორც „ტყავის ბურთისა“ და „ოქროს კალათის“ ტურნირები. დაინტერესებულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტი ხელს გვიწყობს „წვევამდელთა სპარტაკიადის“, „იმედის სტარტების“, „საოჯახო სპარტაკიადისა“ და სხვა სპორტულ ღონისძიებების ჩატარებაში.

ამ ღონისძიებების ძირითადი არსია ბავშვების, მოზარდების და სტუდენტი ახალგაზრდობის სპორტით დაინტერესება, რადგან მომავლის მშენებელი თაობა ფიზიკურად ძლიერი, ჰარმონიულად განვითარებული უნდა იყოს.

ფართო მოძრაობა გაიშალა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატში სრული წესრიგის დამყარებისათვის. კომკავშირის კომიტეტებმა ადგილებზე უფრო აქტიური წვლილი უნდა შეიტანონ ამ საქმეში.

ისიც გვესმის, რომ სპორტის შემდგომი წინსვლისათვის მხოლოდ შეჯიბრებებისა და ტურნირების გამართვა არ კმარა, საჭიროა ვიზრუნოთ სპორტული ბაზების კეთილმოწყობისათვისაც. წარმოიდგინეთ, როგორ გაჭირდება ნებისმიერი რაგნის ტურნირების ჩატარება და მოზარდთა მოზიდვა, თუ უხარისხოდ აშენებული, კეთილმოუწყობელი ბაზები გვექნება? ეს საკითხი მწვავედ დგას ჩვენს წინაშე. მართალია, სპორტსახკომთან, პროფსაბჭოსთან და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ჩავატარეთ სპორტული ბაზების დათვალიერების ერთთვიური, გადაწყვეტილი გვაქვს ანალოგიური ორთვიურის მოწყობა გაზაფხულზე, მაგრამ ესეც საკმარისი არ იქნება. ვიცით, კიდევ ბევრი მუშაობა მოგვიხდება, რათა თითოეული ბაზა მიმზიდველი იყოს და სრული დატვირთვით მუშაობდეს. ეს, ცხადია, მასობრივობის თვალსაზრისით უფრო ფართო მასშტაბის სპორტულ ღონისძიებათა გამართვის უცილობელ გარანტიას მოგვცემს.

სპორტი დიდი ხანია აღარ ითვლება მხოლოდ სანახაობად. მან ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა, ახალგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად იქცა, სპორტულ სარბიელზე მოპოვებული გამარჯვება სახალხო, ეროვნული გამარჯვების ტოლფასი გახდა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ხელს უწყობს ჩვენს სპორტსმენებს, რომ წარმატებით გამოვიდნენ საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე, და, რაც მთავარია, ღირსეულად წარმოადგინონ საბჭოთა სპორტი და სპორტსმენის სახე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამიტომ არის, რომ კომკავშირს თავის ღვიძლ საქმედ მიაჩნია ახალგაზრდა სპორტსმენთა იდეური ჩამოყალიბებისთვის ზრუნვა. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა შორის იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას. სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებზე საქართველოს ნაკრებ გუნდებთან სპორტის სახეობის მიხედვით მუშაობენ კომორგები, ისინი შეფობას უწევენ გუნდებს იდეურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის უკეთ წარმართვაში. ეს მუშაობა დროის მოთხოვნებს უნდა უპასუხებდეს, და ამას უნდა გრძნობდეს თითოეული კომკავშირული მუშაკი, ვისაც სპორტის განვითარებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება. პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება, გარდაქმნის სწორად გაგება და უპირველესად პიროვნული გარდაქმნა, აუცილებელი წინაპირობაა იმ სასკეთო ძვრებისა, რასაც მომავალში ველით და რაც, მტკიცედ გვწამს, საერთო ძალისხმევითა და მონდომებით აუცილებლად განხორციელდება.

საინტერესო ბრძოლების მოლოდინში

თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის გულშემატკივრები საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის დაწყებას მოუთმენლად ელიან. არცაა გასაკვირი — თბილისელმა წყალბურთელებმა წლევანდელი ჩემპიონატი ხომ შესანიშნავად დაიწყეს და ხუთი შეხვედრიდან ოთხი მოიგეს. ახლა ისინი მოსკოვის „უნივერსიტეტისა“ და „დინამოს“ გუნდების შემდეგ მესამე ადგილზე არიან.

ჩვენი დინამოელები მეორე ტურის მატჩებს შინ გამართავენ და იმედია, გულშემატკივართა მოლოდინს გაამართლებენ. ქართველი წყალბურთელები შეხვდებიან შარშანდელ ჩემპიონებს, მოსკოველ თანაკლუბელებს, კიევის დინამოელებსა და კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაკო) წარმომადგენლებს. მათ გარდა თბილისში საასპარეზოდ ჩამოვლენ ლენინგრადის „ბალტიკისა“ და სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდები.

შეხვედრები ვაკის საცურაო აუზში გაიმართება, პარასკევს მატჩები 18 საათზე დაიწყება, შაბათს — 16, კვირას — 12 საათზე.

ა. კარპოვი — ა. სოკოლოვის სუპერფინალური მატჩი

მეოთხე პარტია

ესპანეთის ქალაქ ლინარესში გრძელდება პრეტენდენტთა სუპერფინალური მატჩი მსოფლიოს ექსჩემპიონ ანატოლი კარპოვსა და ანდრეი სოკოლოვს შორის. მეოთხე პარტიაში მეტოქეებმა ახალინდური დაცვა გაითამაშეს. უპირატესობას ა. კარპოვი ფლობდა, მაგრამ დასკვნით ნაწილში ა. სოკოლოვმა შეძლო კონტრთამაშის შექმნა და პარტია ისეთ პოზიციაში გადაიდო, რომელშიც საგარაუდო შედეგი ყაიმია, თუმცა მსოფლიოს ექსჩემპიონს ზედმეტი პაიკი აქვს.

გუშინ, თამაშის განუახლებლად მეტოქენი დაზავდნენ. მატჩის ანგარიშია 2,5:1,5 ა. კარპოვის სასარგებლოდ.

გთავაზობთ მეოთხე პარტიას:

ა. კარპოვი — ა. სოკოლოვი
ახალინდური დაცვა

1. d4 ∂f6 2. c4 e6 3. ∂f3 b6 4. g3 ⚘a6 5. b3 ⚘b4+ 6. ⚘d2 ⚘e7 7. ∂c3 d5 8. cd ∂:d5 9. ∂:d5 ed 10. ⚘g2 0—0 11. 0—0 ∂d7 12. ⚘c1 ⚘e8 13. ⚘e1 ⚘d6 14. ⚘c2 ∂f6 15. ⚘f4 ⚘:f4 16. gf ⚘d6 17. ⚘c1 c5 18. ⚘a3 ⚘b7 19. dc bc 20. ∂e5 ∂d7 21. ⚘ec1 ∂:e5 22. fe ⚘g6 23. ⚘:c5 d4 24. f3 d3 25. ed ⚘:d3 26. ⚘c3 ⚘f5 27. ⚘b5 ⚘ab8 28. ⚘e1 h6 29. ⚘d3 ⚘:e5 30. ⚘:f5 ⚘:f5 31. ⚘e7 a5 32. ∂gf2 g5 33. ∂gg3 ∂gf8 34. ⚘ec7 ∂gg7 35. ⚘3c5 ⚘:c5 36. ⚘:c5 ⚘a8 37. ⚘f1 a4 38. ⚘c4 ab 39. ⚘:b3 ⚘d8 40. ⚘c3 ∂gg6 41. ⚘:f7+ ∂g:f7 42. ⚘c7+. ყაიმი.

ლიდერი უცვლელია

ბაკურიანში გაიმართა საქართველოს თასის გათამაშება სამოთათხილამურო სპორტში. შეჯიბრება მხოლოდ ორ სახეობაში ჩატარდა — სპეციალურ და გიგანტურ სლალომში.

ქალთა სპეცსლალომში გაიმარჯვა თბილისელმა ეკა ედიშერაშვილმა (განათლების სამმართველო). მეორე ადგილზე იკა უშხვანი გავიდა („კოლშეურნე“, მესტია). მესამე იყო თბილისელი თამარ მიქელაძე (განათლების სამმართველო).

სამაგიეროდ, გიგანტურ სლალომში მესტიელმა აჯობა თავის სეხნიას, რომელიც ამჯერად მესამე იყო. მეორე ადგილზეა ბაკურიანელი დინამოელი მეგი პაპიაშვილი.

ვაჟთა შეჯიბრებაში, ორივე სახეობაში გაიმარჯვა წაღვერელმა გია ორჯონიკიძემ. მეორე ადგილზე გავიდნენ ბაკურიანელი დავით ოგანეზოვი და თბილისელი გია ხაზარაძე, მესამე, სპეცსლალომში და „გიგანტშიც“, თბილისელი გიორგი გაჩეჩილაძე იყო. ყველა სპორტსმენი დინამოელია.

„ლელოს“ კორ.

გაგვასარეკს ფეხბურთი?

დასასრული

განუკითხაობისა და ყოვლისმომტევებლობის ატმოსფერო, სადაც არ არსებობდა ურთიერთგაგება და ნდობა მწვრთნელებსა და მოთამაშეებს შორის! საქმე იქამდე მივიდა, რომ სეზონის მიწურულს უკიდურესი ზომების მიღება გახდა საჭირო. მის შესახებ საზოგადოებამ უკვე იცის პრესის მეშვეობით. ეს ყოველივე იმ ნაკლოვანებების გამოვლინებაა, ჯერჯერობით რომ არ აღმოფხვრილა ჩვენს საფეხბურთო მეურნეობაში.

● უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული ფეხბურთის დაქვეითება შარშან არ დაწყებულა...

— ეს პროცესი წლობით მიმდინარეობდა. რამდენი მაღალი კლასის ფეხბურთელი აღიზარდა რესპუბლიკაში ბოლო ათი წლის მანძილზე? მათი ჩამოთვლა თითებზე შეიძლება. არა და ნუსხა გაცილებით შთამბეჭდავი იქნებოდა, რადგან ჩვენ ტალანტები არ გვაკლია. მაგრამ ცალკეული სპორტული მუშაკების, მწვრთნელების შეცდომების და, თუ გნებავთ, უპასუხისმგებლობის გამო წლითიწლობით ვკარგავთ პერსპექტიულ ახალგაზრდობას, რომელიც ვერ ასწრებდა თავისი პოტენციალის გამოვლენას.

● რა ღონისძიებებია საჭირო იმისათვის, რომ მომავალში თავიდან ავიცილოთ ასეთი რამ?

— ძირფესვიანად უნდა გარდავქმნათ ჩვენი ფეხბურთის სტრუქტურა. საამისოდ პირველი ნაბიჯები შარშანვე გადავდგით. სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოსთან შეიქმნა სამი ქვეგანყოფილება: რეზერვების მომზადების, მასობრივი ფეხბურთისა და ოსტატთა გუნდების. მნიშვნელოვანი რეფორმები შეეხო ყველაზე მასობრივ რესპუბლიკურ შეჯიბრებებს — საქართველოს ჩემპიონატებს, რომელთა ორგანიზაციამ და ჩატარებამ ბოლო წლებში მკვეთრი კრიტიკა დაიმსახურა სხვადასხვა დონეზე. საფეხბურთო ასპარეზობები ლამის აშკარა უხეშობის, ცემა-ტყეპის, კუთხურობის, ფსევდოპატრიოტული მეცენატობისა და საქმოსნობის ასპარეზად იქცა. ყოველივე ამის სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადეთ. მკაცრი კონტროლი დაუწესდა გათამაშების დებულების ყოველი პუნქტის განუხრელ შესრულებას. ფეხბურთის სამმართველოს, რომელიც ასევე გარდაქმნის თავის მუშაობას, რეაქციის გარეშე არ დაუტოვებია სპორტული ეთიკის დარღვევის არცერთი ფაქტი. დამნაშავენი მკაცრად დაისაჯნენ. გათამაშებიდან მოიხსნა ოთხი გუნდი — წულუკიძის „დილა“, თბილისის „სინთოლე“, ამბროლაურის „რაჭა“, მარტყოფის „აკრიანი“. თანამდებობიდან გადააყენეს ცხრა მწვრთნელი, 18 ფიზკულტურული მუშაკი. ოცზე მეტ ფეხბურთელს აეკრძალა ოფიციალურ შეჯიბრებებში გამოსვლა. რამდენიმე ფეხბურთელს მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, ადმინისტრაციული ორგანოების, სპორტული ორგანიზაციების, საზოგადოებრიობის მხარდაჭერით. ერთიანი მეცადინეობით უნდა ვეცადოთ იმის მიღწევას, რომ რესპუბლიკაში მოწყობილი ფეხბურთელთა შეჯიბრებები ნამდვილ სპორტულ დღესასწაულებად იქცეს.

ცვლილებები არის გათამაშების დებულებაშიც. მისი მიზანია ხელი შეუწყოს თამაშის დონის ამაღლებას, ადგილებზე რეზერვების მომზადების გაუმჯობესებას, ჩვენი ფეხბურთის განთავისუფლებას გასტროლიორებისაგან, რომლებიც მხოლოდ გამორჩენაზე ფიქრობენ. გუნდებს კატეგორიულად ეკრძალებათ ისეთი მოთამაშეების გამოყვანა, რომლებსაც მათ რეგიონში სულ ცოტა სამი წელიწადი მაინც არ უცხოვრიათ. კლუბები უნდა დაკომპლექტდნენ ადგილობრივი საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელებით. დებულება ყველა გუნდს ავალდებულებს განაცხადში შეიყვანონ რვა-რვა 19 წელზე უმცროსი ასაკის მოთამაშეები, ხოლო ყოველ შეხვედრაში ათამაშონ ორ-ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი და მატჩის დროს ისინი ამავე ასაკის მოთამაშეებით შეცვალონ. ამგვარად, პირველი ჯგუფის გუნდების მონაწილეობით გამართულ ყოველ ტურში მოედანზე დაახლოებით 50 ახალგაზრდა მოთამაშე გამოვა. მეორე ჯგუფის კიდევ ოთხ ზონას თუ დავამატებთ, ეს ციფრი რამდენჯერმე გაიზრდება.

● ხომ არ არის ცვლილებები გათამაშების ფორმულაში?

— დიახ. შეიქმნა ერთი პირველი ჯგუფი ორი ზონალურის ნაცვლად, როგორც ეს წინათ იყო. ამ ჯგუფში 24 საუკეთესო გუნდი გაერთიანდა. მომავალში ვფიქრობთ გუნდების რიცხვი 20-22-მდე შევამციროთ. რესპუბლიკის ახალი ჩემპიონი ავტომატურად, გადასასვლელი თამაშის ჩაუტარებლად გადავა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე ლიგაში.

● თქვენ რეზერვების მომზადების პრობლემა ახსენეთ. რა კეთდება მის გადასაჭრელად?

— აქ მოწყობილ რეფორმებს უკვე მოაქვს სასურველი შედეგი. 1982 წელს თბილისში ამოქმედდა საფეხბურთო პროფილის № 35 სპეციალიზებული საშუალო სკოლა, რომელიც ერთადერთია კავშირში. აქ კვალიფიციური მწვრთნელები შეიკრიბნენ, მოხერხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საგრძნობლად განმტკიცება. სკოლამ უკვე მისცა თავისი აღსაზრდელები რესპუბლიკისა და კავშირის ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებს, ზოგი მათგანი დაინტერესდნენ თბილისის „დინამოსა“ და „გურიის“ მწვრთნელები. სხვათა შორის საქართველოს წლევანდელ ჭაბუკთა პირველობაში 35-ე სკოლის გუნდები ცალკე ზონად იქნებიან გაერთიანებულნი. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ ასეთი სასწავლებლები რესპუბლიკის სხვა საფეხბურთო ცენტრებშიც უნდა შეიქმნას.

დიდ იმედს ვამყარებთ „შევარდენი-სპა“ გუნდზე, რომელიც შარშან შეიქმნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ბაზაზე. უმაღლესი სასწავლებლისა და საწარმოს ხელმძღვანელობამ შეიმუშავეს მუშაობის ერთიანი ფორმა. მათ დადებითად გადაწყვიტეს სწავლასთან და სპორტულ დაოსტატებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. შედეგიც აშკარაა — ახალგაზრდა მოთამაშეებისა და მწვრთნელების გუნდი რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა, იგი შინაარსიანად თამაშობს. ამ კოლექტივმა ოთხი მოთამაშე გადასცა „გურიის“ და უფლება მოიპოვა იასპარეზოს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე ლიგაში.

შეიქმნა კიდევ ორი გუნდი, რომლებშიც თავმოყრილია გარდამავალი ასაკის 16-21 წლის — პერსპექტიული ფეხბურთელები. ერთი მათგანი ჩამოყალიბდა ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის ბაზაზე, მეორე — თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდთან — „დინამო-2“. ორივე გუნდი მონაწილეობს რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველ ლიგაში.

მხოლოდ საკუთარი აღზრდილებით დაკომპლექტდება ქუთაისის „ტორპედო“, ბათუმის „დინამო“, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე ლიგაში მოასპარეზე კლუბები. ახლა ჩვენს ფეხბურთს საიმედო ცვლა ეზრდება 1969-70-იან წლებში დაბადებული ფეხბურთელების სახით. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ბიჭები უახლოეს ხანში თავიანთ სიტყვას იტყვიან.

● ეჭვი არ არის, რომ ყოველივე ეს რესპუბლიკაში ფეხბურთის დონის ამაღლებას ისახავს მიზნად, მაგრამ, ვფიქრობთ, ამის მიღწევა არც თ.უ ისე ადვილი იქნება, თუ არ გვეყოლა კვალიფიციური მწვრთნელები.

— ეს ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტკივნეული პრობლემაა, რომლის გადაჭრაში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება რესპუბლიკის ფიზკულტურულ უმაღლეს სასწავლებელს, ფეხბურთის კათედრას, ფიზკულტურული პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. მათ უნდა უზრუნველყონ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ამასთან, ინსტიტუტთან უნდა შეიქმნას საპრობლემო ლაბორატორია, რომელსაც შეეძლება გულდასმით შეარჩიოს პერსპექტიული, მათ შორის მოქმედი ფეხბურთელები და მათგან აღუზარდოს მწვრთნელთა კადრები ჩვენს ფეხბურთს. სხვანაირად სერიოზულ წარმატებებზე ოცნება ფუჭი იქნება.

● დიდ სპორტს, როგორც ცნობილია, მასობრიობა ახაზრდოებს. გვაქვს თუ არა აქ რაიმე ხიძნელეები?

— რესპუბლიკაში, ფეხბურთის პოპულარიზაციაზე ლაპარაკი ზედმეტია. მარტო მოსამზადებელ ჯგუფებში 12.000 ბიჭუნა ვარჯიშობს, სპეციალიზებულ სკოლებში კი 8 ათასამდე ნორჩი ფეხბურთელია გაერთიანებული. ეს საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრია, რესპუბლიკის მასშტაბს თუ გავითვალისწინებთ. კიდევ ერთი ასეთი სხვა ასეთ ... ადამიანე ... ტაცებული ამ თამაშით. პოპულარულია „ფეხბურთის დღეები“. დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია საქართველოს კომკავშირელთა ინიციატივამ ეზოს გუნდებს შორის მინი-ფეხბურთის ტურნირის მოწყობის თაობაზე. იდეა სხვა რესპუბლიკებშიც აიტაცეს და განავითარეს.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გამოუყენებელი რეზერვი. ეს არის სასკოლო, სტუდენტური, საცხოვრებელი ადგილის ფეხბურთი. უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერჯერობით გვაკლია მასობრივი შეჯიბრებების ორგანიზაციის გააზრებული სისტემა. მარტო ფეხბურთის სამმართველოსა და ფედერაციის მეცადინეობა არასაკმარისია შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მხარდაჭერის გარეშე. განსაკუთრებით გვეიმედება სტუდენტური ფეხბურთის აღორძინება, რომელიც დიდ რეზერვებს შეიცავს. ზოგი უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელები ხალისიანად გამოეხმაურნენ ჩვენს წინადადებას ფეხბურთელთა კოლექტივების შექმნის შესახებ. ახალ სეზონში რესპუბლიკური პირველობის მეორე ჯგუფში დაეუშვით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდები, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე გუნდი.

● და მაინც, ძნელია მასობრიობის მიღწევა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე...

— სამწუხაროდ აქაც ვერა გვაქვს ყველაფერი მთლად რიგზე — ისეთი „საფეხბურთო“ რესპუბლიკა, როგორიც საქართველოა, საგრძნობლად ჩამოუვარდება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. არსებული ბაზები მოთხოვნილების მხოლოდ 32 პროცენტს აკმაყოფილებდა. მარტო თბილისში საჭირო 230 სტადიონის ნაცვლად სულ 20 სტადიონი ფუნქციონირებს. ანალოგიური სიტუაციაა რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებშიც. რვა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლიდან მარტო ერთსა აქვს საფეხბურთო მოედანი, მაშინ როცა თითოეულ მათგანს სულ ცოტა 4-5 მინდორი უნდა ჰქონდეს. აგერ უკვე რამდენიმე წელია საკუთარი სტადიონი არა აქვს სპორტული პროფილის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატს. ახალი საცხოვრებელი უბნები წლიდან წლამდე შთანთქავს უშენ ადგილებს, მათთან ერთად კი ქრება „ველური“ ფეხბურთიც, თავის დროზე ბევრი საფეხბურთო ტალანტი რომ აღზარდა. ახალი უბნების დამპროექტებლებს ხშირად ავიწყდებათ უმარტივესი მოედნებიც კი, საფუძვლიან სპორტულ კომპლექსებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ნუთუ შესახსენებელია ის, რომ ფეხბურთი, ისევე როგორც საერთოდ სპორტი, გამაჯანსაღებელი საშუალებაა, მასების აქტიური დასვენების საუკეთესო შესაძლებლობაა.

ბოლო დროს სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ამ საკითხს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. ჩემს მიერ დასახელებულ სპორტნაგებობათა უმრავლესობა ბოლო წლებში აშენდა. იმედი გვაქვს, რომ თუ ფეხბურთელებიც შესაბამისი ტემპით დახვეწენ თავიანთ ოსტატობას, მაშინ მოწინავე მიჯნებს მიაღწევენ.

● ახალი საფეხბურთო სეზონის წინ სახურველი იქნებოდა ჩვენი საუბრის ოპტიმისტური განწყობით დამთავრება...

— ვფიქრობ, მომავალი სეზონი ქართული ფეხბურთისათვის უფრო ნაყოფიერი იქნება. ამის საფუძველს გვაძლევს სიტუაცია, რომელიც შეიქმნა ჩვენს წამყვან კლუბებში, უწინარეს ყოვლისა, თბილისის „დინამოში“. უფროსმა მწვრთნელმა კახი ასათიანმა და გუნდის უფროსმა ნუგზარ ებრალიძემ თანაშემწეებთან ერთად შეძლეს კეთილმოსურნე, ნდობით გამსჭვალული ატმოსფეროს შექმნა. ეს გვაბარებს და გვაიმედებს. იგივე შემიძლია გითხრათ „გურიაზეც“.

ყურადღება არ აკლიათ ქუთაისის „ტორპედოსა“ და ბათუმის „დინამოსაც“. პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად ხორციელდება ყველა ღონისძიება, რათა ეს კოლექტივები ღირსეულად წარმომადგენლობდნენ ქართულ ფეხბურთს საკავშირო ასპარეზზე.

საუბარი ჩაწერა
შ. შალოლაშვილმა.
საქინფორმის კორ.

საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას დაიწყო საქართველოს 1987 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში I ჯგუფის გუნდებს შორის.

„ხალხინო“ (გეგეჭკორი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0, მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლი: გ. გეგეჭკორი („სალხინო“).

„ხულორი“ (ვანი) — „სქური“ (წალენჯიხა) 0:3. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ჩიკინოვი, კვირტია, გ. კვარაცხელია („სქური“).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ოვერია“ (ხაშური) 1:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლი: რ. გუჩუა („ამირანი“).

„კახეთი“ (თელავი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 3:2. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი). გოლები: ჯაშიაშვილი, გვრიტიძე, აბდულაევი („კახეთი“), ჯაგოვი, ისიანი („მადნეული“).

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:1. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი). გოლები: ჩინჩალაძე, ლილუაშვილი („საპოვნელა“), ტაბატაძე („ქართლი“).

„დინამო“ (გაგრა) — „იმერეთი“ (ჭუთაისი) 3:0. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი). გოლები: მატოსიანი, ტესლენკო, კვარაცხელია („დინამო“).

უნიფორმა თამაშისთვის გააფრთხილეს გაგრელი გ. შონია და ქუთაისელი ზ. წულაია.

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — ახალგაზრდული ხაფეხბურთო სკოლა (თბილისი) 2:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: ჩიქობავა-2 („ეგრისი“).

„კოლხეთი“ (ხობი) — „იმედი“-„დინამო-2“ 0:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

რესპუბლიკური ჩემპიონატის გახსნის დღეს უამინდობა დაესწრო ვანში, გაგრაში, ოჩამჩირეში, თერჯოლაში, ხობში, თელავში, მაგრამ მიუხედავად ამისა ადგილობრივმა სპორტის მესვეურებმა ყველა ზომას მიმართეს, რათა მათს სტადიონებზე არ შეფერხებულიყო კალენდარული თამაშების ჩატარება, ღირსეულად გაართვეს კიდეც თავი სიძნელეებს და უზრუნველყვეს კარგი საათამაშო პირობები.

დიდთოვლობისა და უამინდობის გამო ვერ მოხერხდა პირველი ტურის 3 თამაშის ჩატარება მახარაძეში, მცხეთაში და ყვარელში. აქ დანიშნული მატჩები შეედგება 11 მარტს.

მკითხველი შეამჩნევდა, რომ პირველი ტურის 8 ჩატარებულ მატჩში მხოლოდ ერთგან, გაგრის „დინამოსა“ და ქუთაისის „იმერეთის“ შეხვედრაში, აღინიშნა ინციდენტი. დარღვევა, შეიძლება, უმნიშვნელო ხასიათისა იყო, ვინაიდან უხეშობა, გვინდა ეს თუ არა, ფეხბურთში ხდება, მაგრამ გაგრელმა გ. შონიამ და ნულეულკიძელმა ზ. წულაიამ ჩემპიონატის საზეიმო სტარტს თავიანთი საქციელით გარკვეული ლაჟი დაამჩნიეს. უხეშობა ფეხბურთის უპირველესი მტერია, სპორტსმენმა მცირედნი თავშეკავება უნდა გამოიჩინოს, და ეკითხეთ ნარეხელებს თავიდან აიცილებს. ვამედოვნებთ, ეს ინციდენტი, ბოლოს-ბოლოს დარჩება ჩვენს ფეხბურთში.

* * *

საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო რესპუბლიკური პირველობის I და II ჯგუფების მომსახურე მსაჯებს ატყობინებს, რომ მათი დანიშვნა კალენდარულ თამაშებზე ხდება ორი კვირით ადრე, მსაჯები ვალდებული არიან სამმართველოს აცნობონ თავიანთი თანხმობა მატჩების ჩატარებაზე. საამისოდ შეიძლება დეპეშის გაგზავნა მისამართით: თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი № 49-ა, ან ტელეფონით დარეკვა (23-53-80, 23-53-82, 23-59-33).

გაზეთ „ლელოს“ პრიზზე

ფეხბურთი— ქალებს!

ორიგინალური სარვამარტო ხაჩუქარი მოიფიქრეს ორი თეატრის — რუსთაველისა და მარჯანიშვილის მსახიობებმა. თბილისის ყველა ქალს იწვევენ ისინი... ფეხბურთზე! (და აქვე დახძენენ, რომ მამაკაცებს სპეციალური დაპატიჟება არ სჭირდებათ — „აბა, რომელი ნამდვილი მამაკაცი გააცდენს ფეხბურთს?“).

რამდენიმე დღით ადრე კი ორივე თეატრში ახეთი განცხადებები გაჩნდა:

„7 მარტს 7 საათზე (იხ. გაზეთი „ლელო“ 1987 წლის 19 თებერვლიდან) სპორტის სახახლეში შედგება „ხაუკუნის მატჩი“ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებს შორის.

უფროსი თაობა ითამაშებს რამდენიმე წუთს (გამძლეობაზეა), შემდეგ მოედანზე ახალგაზრდა მსახიობები გამოვლენ. მოთამაშეების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

აბა, თქვენ იცით, ბიჭებო! არ შევირცხვინოთ თავი! მოვუწყოთ ქალებს ნამდვილი ზეიმი!

მარჯანიშვილელებმა როგორ უნდა გვაჯობონ?“

„მეტოქე“ თეატრში განცხადება ზუსტად იგივე შინაარსის გაბლდათ, გარდა, ცხადია, ბოლო სტრიქონისა: „რუსთაველელებმა როგორ უნდა გვაჯობონ?“.

გულშემატკივრები, თავის მხრივ, ძალიან ხერიოზულად ემზადებიან მატჩისათვის. უკვე მიმდინარეობს ბილეთების გაყიდვა. ამბობენ, რიგში უმრავლესობა ქალებია.

ვხარგებლობთ შემთხვევით და მადლობას ვუხდით ყველა მკითხველს, ვინც თავისი მოსაზრება გაგვაცნო მომავალ მატჩთან დაკავშირებით: მაგული პაქსაძეს და ლამარა ბოლქვაძეს ხულოს რაიონის სოფელ კორტოხიდან, ნინო ბურკაძეს თელავის რაიონის სოფელ რუისპირიდან, ქუთაისელ ნატო ითბიძეს, ცხინვალელ ზ. გოჩაშვილს და სხვებს.

მაშ ასე, 7 მარტს 7 საათზე...

პეპი ბოფორიშვილი.

P.S. გუშინ გადაწყდა ორივე გუნდის შემადგენლობა. სპორტის სასახლის მოედანზე ვიხილავთ **გოორგი გეგეჭკორს** (იგი რუსთაველის თეატრის მოთამაშე-მწვრთნელია), **კახი კავსაძეს, ავთანდილ მახარაძეს, ნოდარ მარგველაშვილს, ჯემალ ლაღანიძეს, კოტე მახარაძეს, ოთარ მელვინეთუხუცესს, ირაკლი უჩანეიშვილს** და ბევრ სხვა ცნობილ მსახიობს. გუნდების კაპიტნები არიან **ხოხო ლაღიძე** (რუსთაველის სახელობის თეატრი) და **ჯემალ მონიავა** (მარჯანიშვილის თეატრი).

ამ საინტერესო მატჩის მსაჯად დანიშნულია თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობი **ბადრი ბეგალიშვილი.**

ფეხბურთში სსრ კავშირის საიუბილეო 50-ე ჩემპიონატის დაწყების მოახლოებასთან დაკავშირებით გამოვაქვეყნებთ თბილისის „დინამოს“ სტატისტიკურ მონაცემებს საკავშირო ჩემპიონატებში

ფრეები

შარშან აღინიშნა 50-ე წელი საკავშირო ჩემპიონატების დაწყებიდან. 1987 წლის სეზონი თავისთავად საიუბილეოა — ორმოცდამეათეა, შემდგომი კი თბილისის „დინამოსათვის“ ორმოცდამეათე იქნება უმაღლეს ლიგაში. ასე რომ, ეს პერიოდი ჩვენი რესპუბლიკის პირველი გუნდისათვის ერთგვარად საიუბილეოა, საიუბილეო წლებში კი მიღებულია განვლილი გზის გახსენება, კიდევ ერთხელ აღინიშნება მიღწევები, ერთგვარად ჯამდება შედეგები. თბილისის „დინამოს“ ბევრი აქვს საამაყო: მან ორჯერ მოიპოვა ოქროს, ხუთჯერ—ვერცხლის, ხოლო ცამეტჯერ — ბრინჯაოს მედლები. საპრიზო ადგილების საერთო ჯამით თბილისელები მხოლოდ სამ გუნდს ჩამორჩებიან: მოსკოვის „სპარტაკსა“ (30 საპრიზო ადგილი) და „დინამოს“ (26), აგრეთვე კიევის „დინამოს“ (24). სადღეისოდ თბილისის „დინამოს“ უმაღლეს ლიგაში ნათამაშები აქვს 1334 მატჩი, აქედან 597 მოიგო, 356 წააგო, ხოლო 381 ფრედ დაამთავრა. დინამოელებს გატანილი აქვთ 2090 ბურთი, მიღებული — 1568. წლევანდელ სეზონში თბილისელები ორ სასიამოვნო „იუბილეს“ აღნიშნავენ: მეექვსასე გამარჯვებას და 2100-ე გატანილ გოლს. თუმცა, დღეს იუბილეებზე არ გვექნება საუბარი. მე მინდა უფრო დაწვრილებით მოგითხროთ გამარჯვებებზე, ფრედ დამთავრებულ შეხვედრებსა და დამარცხებებზე, მათგან ყველაზე მნიშვნელოვან, დამახასიათებელ, დრამატულ ამბებზე, დავიწყებ ფრეებით. სადღეისო თემის არჩევანი შემთხვევითი არ არის, რადგან თავიანთი პირველი მატჩი ჩემპიონატში დინამოელებმა ფრედ — 2:2 — ითამაშეს თბილისში კიეველ თანაკლუბელებთან. 381 „საყაიმო“ მატჩში თბილისელებმა 336 ბურთი გაიტანეს და, რა თქმა უნდა, ამდენივე გაუშვეს საკუთარ კარში. ყველაზე ხშირად გვხვდება ანგარიში 1:1 (167-ჯერ), 0:0 (137), 2:2 (62). თხუთმეტი შეხვედრა დამთავრდა 3:3; საკუთარ მოედანზე დინამოელებმა 166 მატჩი დაამთავრეს ფრედ, სტუმრად — 215. ეს მატჩები სხვადასხვაგვარი გახლდათ, იყო საინტერესო, დაძაბული ბრძოლებიც და ღუნე, უფერული შეხვედრებიც, იყო ფრე დასანანი, იყო პრესტიჟული, იყო უკომპრომისო და ისეთიც, კაცს გახსენებაც რომ არ გინდა... თბილისის „დინამო“ ყოველთვის ითვლებოდა მებრძოლ გუნდად, რომელიც მხოლოდ მოგებისათვის თამაშობს. ამიტომ ფრეებისადმი მისი დამოკიდებულება ძირითადად უარყოფითი იყო. თუმცა ზოგჯერ ამ „საყაიმო“ ანგარიშს არ შეიძლება არ გავეხარებინეთ. მაგალითად, 1936 წლის შემოდგომაზე „ა“ ჯგუფის (ასე ეწოდებოდა მაშინ უმაღლეს ლიგას) ახალბედა წევრი — თბილისელთა გუნდი მოსკოვში თავად ჩემპიონს — მოსკოვის „დინამოს“ ეთამაშებოდა. ეთამაშებოდა ყოველგვარი შიშისა და მოკრძალების გარეშე, გაიტანა გოლი და მოსკოველებს ძალზე გაუჭირდათ ამ მატჩის გადარჩენა. ამ გუნდების მატჩი მოსკოვში შემდგომ სეზონშიც მეტად საინტერესო და უხვგოლიანი გამოდგა. ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან მეორე. საბოლოო ანგარიში — 3:3. 1947 წლის ჩემპიონატის ფინიშზე დინამოელები თავიანთ მინდორზე ხვდებოდნენ ცდკა-ს მრისხანე გუნდს. არმიელებს, რომლებიც ერთი ქულით უსწრებდნენ მოსკოვის „დინამოს“, ოქროს მედლებს მხოლოდ მოგება მოუტანდა. თბილისელებმა მეტად ძლიერად ჩაატარეს მატჩი. ისინი ორჯერ დაწინაურდნენ და მოსკოველებმა ქულის გადარჩენა შეძლეს მხოლოდ ვსევოლოდ ბობროვის წყალობით, რომელმაც ბრწყინვალედ ითამაშა და ორი გოლი გაიტანა. როგორ არ გავიხსენოთ 1959 წლის მატჩი კიევში. თამაში ძალზე დაძაბულად წარიმართა, თბილისელები აგებდნენ — 1:2. ამას დაემატა მათ კარში დანიშნული ორი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა. მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშა მეკარე სერგო კოტრიკაძემ — მან ორივე პენალტი მოიგერია. ამან თითქოს ძალა შემატა თბილისელებს და მათ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო ხშირი იყო დასანანი ფრე, როცა თბილისელები ხელიდან უშვებდნენ, ერთი შეხედვით, ასპროცენტიან მოგებას. ამ ფრეთაგან რამდენიმემ საბედისწერო როლი ითამაშა გუნდის სატურნირო მდგომარეობაში. ჯერ კიდევ თავიანთ პირველ ჩემპიონატში, 1936 წლის შემოდგომაზე, დინამოელებს შეეძლოთ ჩემპიონები გამხდარიყვნენ. ფინიშამდე სამი ტურით ადრე გათამაშების ლიდერი, თბილისის „დინამო“, ლენინგრადელ თანაკლუბელებს მასპინძლობდა. პირველი ტაიმის შემდეგ ქართველი ფეხბურთელები წინ იყვნენ — 2:0, მაგრამ მეორე ტაიმში მათ, სამწუხაროდ, დამთეს ინიციატივა და ზელიდან გაუშვეს ნანატრი გამარჯვება — 2:2. ამ ფრემ იმდენად იმოქმედა თბილისელებზე, რომ შემდგომი შეხვედრა ლენინგრადის მეორე გუნდთან „კრასნაია ზარიასთან“ წააგეს (2:3), საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავეს და ჩემპიონს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩნენ. ანალოგიური ვითარება იყო 1953 წლის სეზონის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე. თბილისელები დაკარგული ქულების რაოდენობით უსწრებდნენ მოსკოვის „სპარტაკს“ და ოქროს მედლების მოსაპოვებლად დარჩენილი ორი მატჩი უნდა მოეგოთ. პირველი შეხვედრა ვილნიუსში გაიმართა ადგილობრივ „სპარტაკთან“, რომელიც სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე იყო და არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო. მაგრამ თბილისელებმა ვერ შეძლეს აუტსაიდერის დამარცხება — 1:1. ამ საბედისწერო შეხვედრის შემდეგ მათ წააგეს მოსკოვის „ტორპედოსთან“ და კვლავ დაკარგეს ჩემპიონის ტიტული.

3:3. რამდენი უსიამოვნო მოგონებაა დაკავშირებული ამ ანგარიშთან. სწორედ ამ მატჩებში კარგავდა გამარჯვებას ყველაზე ხშირად თბილისის „დინამო“. 1938 წელს მოსკოვში, „ტორპედოსთან“ შეხვედრაში 25-ე წუთისთვის „დინამო“ წინ იყო — 3:0. თხუთმეტი წუთის შემდეგ ანგარიში 3:3 გახდა. 1964 წელს, როცა ჩემპიონობისთვის იბრძოდნენ და ყოველ ქულას ოქროს ფასი ჰქონდა, თბილისის დინამოელებმა ხელიდან გაუშვეს აშკარა მოგება კუიბიშევში, სადაც თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ანგარიში იყო 3:1 მათს სასარგებლოდ. მართალია, ამ ფრემ მაინც ვერ შეუშალა მათ ხელი იმ სეზონში ჩემპიონობის მოპოვებაში. 1977 წელი. „ჩერნომორეცთან“ მატჩში, საკუთარ მინდორზე, „დინამო“ პირველი ტაიმის შემდეგ წინ იყო — 3:0. თამაშის დამთავრების შემდეგ ტაბლოზე ეწერა — 3:3. რვა წლის შემდეგ იმავე „ჩერნომორეცთან“ მატჩში 85-ე წუთისთვის თბილისელები დაწინაურდნენ — 3:1, სამი წუთის შემდეგ კი ანგარიში გათანაბრდა — 3:3. ასევე მოხდა 1979 წელს, დონეცკში. მასპინძლები აგებდნენ — 1:3, მაგრამ მატჩის მიწურულს შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. აქვე უნდა ითქვას, რომ სამი წლის შემდეგ, ისევ დონეცკში, უკვე თბილისელებმა შეძლეს ქულის გადარჩენა, როცა შეხვედრას აგებდნენ ასეთი სხვაობით — 1:3.

რამდენ ქულას იძლევა ფრე? — ასეთი შეკითხვა შეიძლება გულუბრყვილოდაც გეჩვენოთ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მაგალითად, 1973 წელს იმისთვის, რომ ფრედ დამთავრებულ შეხვედრაში ერთი ქულა მიგეღოთ, საჭირო იყო მეტოქეზე უკეთ შეგესრულებინათ მატჩის შემდგომი თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერია. სწორედ ამიტომ იყო, რომ თბილისელებმა ორ მატჩში თითო ქულა ვერ ჩაიწერეს. მათ ეს ქულები დაკარგეს 1979 წელსაც, ორ მატჩში ფრეთა ლიმიტის გადაჭარბებისთვის — ასე რომ, ფრეს ყოველთვის არ მოაქვს ერთი ქულა.

ჩემპიონატებში თბილისის დინამოელები შეხვედრებს ფრედ ყველაზე ხშირად (32 მატჩი) ამთავრებდნენ კიეველ თანაკლუბელებთან. ყველაზე მეტი მატჩი „საყაიმო“ შედეგით „დინამომ“ 1966, 1969 და 1974 წლებში ითამაშა — 14. ჩემპიონატებში პირველი გამარჯვება თბილისელებმა მოიპოვეს... თუმცა, გამარჯვებებზე შემდეგ გვექნება საუბარი.

აქსელ ვართანიანი.

შეტევა ფრეთა ლიმიტზე

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მორიგ პლენუმზე განიხილეს შარშანდელი სეზონის შედეგები, აგრეთვე, წლევანდელ გათამაშებათა უმთავრესი საკითხები.

პლენუმმა საგანგებოდ იმსჯელა ფრეთა ლიმიტის შესახებ. ცნობილია, რომ ჩვენი ფეხბურთის უმაღლეს და პირველ ლიგებში 1978 წლიდან დაწესებულია ფრეთა ლიმიტი. სხდომაზე გამოვიდნენ ცნობილი მწვრთნელები, ავტორიტეტული სპეციალისტები, რომლებმაც კატეგორიულად აღნიშნეს, რომ ჩვენს ფეხბურთში საჭირო აღარაა ფრეთა ლიმიტი. ეს შეზღუდვა უნდა გაუქმდეს დაუყოვნებლივ, წლეულსვე. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. ტოპორნინმა განაცხადა, რომ პლენუმის ამ გადაწყვეტილების შესახებ იგი მოახსენებს სსრ კავშირის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობას.



ეპიდემიის ბრალია?

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში პორტუგალიელმა ფეხბურთელებმა, სულ ახლახან, მარცხი იწვნიეს იტალიის ნაკრებთან შეხვედრაში (0:1). პორტუგალიის ნაკრების ექიმის კ. რიეტრას განცხადებით ამის მიზეზია გრიპის სასტიკი ეპიდემია, რომელმაც მწყობრიდან გამოიყვანა პორტუგალიის გუნდის თითქმის ყველა ფეხბურთელი, რომლებიც მხოლოდ უშუალოდ თამაშის წინ შეიკრიბნენ, ფეხზე ძლივს იდგნენ მეკარე ბენტუ, მცველი ალვარუ, ნახევარმცველი ადაუ, თავდამსხმელი მანუელ ფერნანდესი. მათი ღირსეული შემცვლელების გამოძებნაც ურთულესი საქმე გამოდგა, ვინაიდან პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ ამას წინათ საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობა აუკრძალა ყველას, ვინც კი შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში თამაშობდა.

პორტუგალიის ეროვნული ფედერაციის ამ გადაწყვეტილებამ თავიდანვე გამოიწვია ამ ქვეყნის საფეხბურთო საზოგადოების მკაცრი კრიტიკა, ანლა კი ცხადი გახდა, რომ სანქციები დაუსაბუთებელი და მეტისმეტად მკაცრი იყო.

წარმატება იუნიორთა საკავშირო ტურნირზე

დასასრული

თენგიზ თედორაძის წარმატება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა, მას აქამდეც არაერთხელ გაუმარჯვნია თანატოლთა საკავშირო შეჯიბრებებში, შარშან იუნიორთა ევროპის ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა. თედორაძე მოზრდილთა შეჯიბრებებშიც წარმატებით გამოდის: შარშან პოდუბნის სახელობის დიდი საერთაშორისო ტურნირის ლაურეატი გახდა, წელს კი საკავშირო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. კიშინიოვში თედორაძეს ვერავინ გაუწია ღირსეული წინააღმდეგობა, მან ექვსივე მეტოქე დიდი უპირატესობით დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. წინასწარ შეხვედრებში კოლუაშვილმაც დამაჯერებლად გაიმარჯვა, მაგრამ ფინალური ბრძოლა ქულებით დათმო და ვერცხლის ჯილდო მიიღო. ამ შეჯიბრებაზე სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს კობა ოჩიგავამ (74 კგ, IV ადგილი), ზაურ ცხადაძემ (ძმიმე წონა, IV), გოჩა ბანძელაძემ (100 კგ, VI) და დავით სანოძემ (ძმიმე წონა, VI).

დინამოელ ძიუდოისტთა მედლები

მინსკში გამართულ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ჭაბუკ ძიუდოისტთა პირად-გუნდურ პირველობაზე გაიმარჯვეს სოხუმელებმა — ვლადიმერ დგებუაძემ (62 კგ) და მაკარ თვალაძემ (68 კგ), მესამე ადგილებზე გავიდნენ ქუთაისელები — ნუგზარ ჯიმშელეიშვილი (62 კგ) და დავით ხაბალეიშვილი (ძმიმე წონა). გუნდურ ჩათვლაში საქართველოს დინამოელთა ნაკრებმა რუსეთის ფედერაციის კოლექტივის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ცსკა უჩვეულო როლში

თბილისი. სპორტის სასახლე. 3 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა 77:67 (36:30).

„დინამო“: კაპუსტინი (27), ტიუბინი (20), ოპოშნიანი (14), ფერიაშვილი (6), ტალაბაძე (6), გიორგობიანი (4), დარსაძე.

ცსკა: პოპოვი (15), ლოპატოვი (15), პანკრაშკინი (11), გუსევი (8), კუზმინი (7), ბაზარევიჩი (7), შელეშკინი (2), ტრუშინი (2), ენდენი, ვოლკოვი.

მსაჯები: ო. გორბატოვი (კუიბიშევი), ა. რზაევი (ბაქო).

ცსკა ფინალურ ტურნირში პირველად დამარცხდა, მაგრამ ლიდერობა არ დაუთმია. არმიელთა კოლექტივი მტკიცედ მიიწევს მიზნისაკენ ტურნირში, რომელმაც კალათბურთში სსრ კავშირის 54-ე ჩემპიონის ვინობა უნდა დაასახელოს.

ამ მატჩში იყო შეცდომები, მაგრამ ბრძოლას სამძაფრე და სილამაზე არ მოკლებია. მაყურებლებმა სპორტის სასახლე გახარებულებმა დატოვეს: თბილისის „დინამომ“ გაიმარჯვა და სატურნირო ცხრილში მდგომარეობა განიმტკიცა.

მოსკოვის არმიელებს ქულათა მარაგი გარკვეული მანევრირების საშუალებას აძლევს და ამიტომ მწვრთნელებმა ზოგიერთ, განსაკუთრებით გადაღლილ კალათბურთელებს, დასვენების საშუალება მისცეს (ცსკა-ც ხომ ორ ფრონტზე — საკავშირო ჩემპიონატსა და ევროპის საკლუბო ტურნირში იბრძვის), მაგრამ მოსკოვის არმიელებს, არ ჰყავთ, ეს მათი ღირსებაა, მკვეთრად განსხვავებული პირველი და მეორე შემადგენლობა, ის, ბირთვი, რომელსაც ჩვენ ძირითად ხუთეულსა და დუბლს ვუწოდებთ. და თუ ვინმე არ გამოვიდა ამ დღეს მოედანზე, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ პატარა სულის მოთქმა სჭირდებოდათ.

ამიტომ იყო, ალბათ, მატჩის პირველივე წუთებიდან არმიელები მდევრის როლში რომ აღმოჩნდნენ. „დინამო“ ქულებს აგროვებდა, მისი მეტოქე კი ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდა, ცდილობდა, მაგრამ პირველ ოც წუთში ცსკა ვერაფერს გახდა. მდევრის როლი მისთვის ერთობ უჩვეულო იყო და გუნდის წევრებს ნერვიულობა დაეტყოთ. ამას შეცდომები მოჰყვა ზოგი ტაქტიკური ხასიათის, ზოგიც ე. წ. დისციპლინარული. სწორედ ბრძოლის დრამატიზმსა და სიმძაფრეზე მიგვანიშნებს ის, რომ ცსკა-მ ოთხჯერ მიიღო ტექნიკური ჯარიმა და ოთხივეჯერ მსაჯებთან შეკამათებისთვის.

ყოფილა შემთხვევა, არმიელებს პირველი ტაიმი წაუგიათ, მაგრამ ძალთა გადაჯგუფებითა და სრული მობილიზაციით მდგომარეობა გამოუსწორებიათ. მათ ამ დღესაც მიეცათ ამის საშუალება, თანაც რამდენიმეჯერ, მაგალითად 23-წუთზე არმიელმა ლოპატოვმა ზუსტი სამქულიანი სროლით დაიწინაურა თავისი გუნდი—42:41, ამის შემდეგ ანგარიში ზედიზედ გათანაბრდა, მაგრამ 33-ე წუთი მოსკოველთათვის საბედისწერო აღმოჩნდა, „დინამოს“ უპირატესობამ 10 ქულას მიაღწია...

თბილისელები, ამ გამარჯვებისთვის, ცხადია, ქებას იმსახურებენ, თანაც ერთი ან რამდენიმე კალათბურთელი კი არა, მთელი გუნდი, მთელი კოლექტივი, მაგრამ გვინდა მაინც გამოვყოთ კაპუსტინი, რომლის რვა სამქულიანმა სროლამ ზუსტად მიაღწია მიზანს. მატჩის ბედი, დასამალი რაა, სწორედ ამ სროლებმა გადაწყვიტა.

ნოდარ გუგუშვილი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 მარტისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	33	27	6	3130-2623	60
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	33	22	11	2924-2769	55
„დინამო“ (თბილისი)	33	19	14	2545-2693	52
„სპარტაკი“ (ლენინგ.)	32	19	13	2645-2596	51
„შახტიორი“ (დონეცკი)	33	16	17	2630-2685	49
ვეფ (რიგა)	32	13	19	2796-2904	45

„ჟალგირისს“ უჭირს

დონეცკი. ასე შეიძლება „კაუნასის „ჟალგირისმა“ მთავარ სუპერფინალში თამაშის შანსიც კი დაკარგოს. ლიტველმა კალათბურთელებმა დონეცკის „შახტიორთან“ კიდევ ერთი, ამჯერად უკვე მეთერთმეტე, მარცხი განიცადეს — 77:83 (31:45). შეხვედრის ბედი, როგორც ხედავთ, პირველსავე ტაიმში გადაწყდა, რომელიც „შახტიორმა“ 14 ქულით მოიგო. შესვენების შემდეგ დონეცკელებმა შეინარჩუნეს უპირატესობა და სასურველ მიზანსაც მიაღწიეს.

ბელორუსიელთა ორი გამარჯვება

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის იმ გუნდების მატჩები, VII-XII ადგილებისთვის რომ იბრძვიან.

მინსკი. ადგილობრივმა რტი-მ მიიღო ვილნიუსის „სტატიბა“, მინსკელებმა ორივე შეხვედრა მოიგეს — 87:84 და 77:71 და საგრძნობლად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა.

კიევი. უკრაინის გუნდებმა — „სტროიტელმა“ და ასკ-მ ქულები გაინაწილეს. პირველი შეხვედრა არმიელებმა მოიგეს — 91:84, მეორე — „სტროიტელმა“ 80:75.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
ასკ (კიევი)	32	16	16	48
„სტატიბა“ (ვილნ.)	32	13	19	45
რტი (მინსკი)	32	12	20	44
„დინ.“ (მოსკოვი)	30	13	17	43
„სტროიტ.“ (კიევი)	30	11	19	41
ასკ (ალმა-ათა)	28	9	19	37

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ასუფრიანი ლიგა

ცრუ ტრაკი დარჩა,

დაუგავპილსი (ლატვია), 4 მარტი (დეპეშით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის ვაჟთა უმაღლესი ლიგის ჩემპიონატი ასუჯრედიან შაშში. სამწუხაროდ, ფინიშზე წაიფორხილა ჩვენმა თანამემამულემ ჯუმბერ ბერიშვილმა. XIV ტურში იგი ბალიაკინთან დამარცხდა, შემდეგ — ი. ერმაკოვთან. ბერიშვილმა მოუგო ა. ერმაკოვს. XV ტურში ვირნინმ სძლია პრესმანს, ბალიაკინმა—შულმანს. გადაიდო მოგილიანსკი-მიშჩანსკის შეხვედრა. დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა.

15 ტურის შემდეგ ჩემპიონატს ლიდერობენ მიხაილ კარენევსკი (ლენინგრადი) და ტუნდის ვალნერისი (რიგა) — 9,5-9,5 ქულა. 9 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს ალექსანდრე მოგილიანსკის (რიგა). 9-9 ქულა მოაგროვეს ვადიმ ვირნინმ (ხარკოვი) და იური ერმაკოვმა (რიგა). ჯუმბერ ბერიშვილს 6,5 ქულა აქვს და მინსკელ ალექსანდრე პრესმანთან ერთად XIV-XV ადგილებს იყოფს.

არტურ გოიხმანი.

ოთხი საგზურისათვის

სამტიედიანი დაიწყო საქართველოს ჩემპიონატის I ლიგის ტურნირი ვაჟ მოჭადრაკეთა შორის. შეჯიბრებაში I-IV ადგილებზე გასული მოჭადრაკეები უმაღლესი ლიგის საგზურებს მიიღებენ. კენჭისყრის შედეგად მონაწილენი ასე განლაგდნენ სატურნირო ცხრილში: 1. ბესო ხეცურიანი (ქუთაისი), 2. არტურ თეიმურაზიანი, 3. ზაზა ხოფერია, 4. იური ნეჩაევი, 5. კახა შალამბერიძე (ყველა — თბილისი), 6. გოჩა ტყეებუჩავა (ცხკაია), 7. იანის პოპოვი (თბილისი), 8. რომან სიჭინავა (ცხკაია), 9. ნიკოლოზ ლეკვეშვილი (სამტრედია), 10. დავით ჩაჩიბაია (ცხკაია), 11. დავით ლობჟანიძე (თბილისი), 12. ნუკრი მანაგაძე (ქუთაისი), 13. თამაზ ტაბატაძე (თბილისი), 14. ბესარიონ ლეჟავა (სამტრედია), 15. გია გოგოლაძე (ჩოხატაური), 16. გიორგი გოგიჩაშვილი (თბილისი).

გუშინ გაიმართა I ტურის შეხვედრები: ხოფერია — ლეჟავა 1:0, ნეჩაევი — ტაბატაძე 0:1, შალამბერიძე — მანაგაძე 1:0, პოპოვი — ჩაჩიბაია 0:1, ხეცურიანი — გოგიჩაშვილი 0,5:0,5, თეიმურაზიანი — გოგოლაძე 0,5:0,5, ტყეებუჩავა — ლობჟანიძე 0,5:0,5, სიჭინავა-ლეკვეშვილის პარტია გადაიდო.

ბეჟან ჩხაიძე,
„ლელოს“ სპეც. კორ.

ესპანეთი

ჩემპიონატის ლიდერი „ბარსელონა“ მოულოდნელად დამარცხდა საკუთარ მოედანზე ხიხონის „სპორტინგთან“ — 0:4. სტუმრები მთელი თამაშის მანძილზე სჯობნიდნენ „ბარსელონის“ ფეხბურთელებს. ბურთები გაიტანეს მექსიკელმა ფლორესმა, ელოიმ (2) და ლუისმიმ. მიჩელის მიერ მე-80 წუთზე გატანილმა გოლმა მადრიდის „რეალს“ გამარჯვება მოუტანა „საბადელთან“ შეხვედრაში — 1:0. სტუმრად 2 ქულა მოიპოვა აგრეთვე „ესპანიოლმა“, რომელმაც დაამარცხა „კადისი“ — 2:0 (მიშელ პინედა და პიჩი ალონსო).

მადრიდის „ატლეტიკომ“ დაამარცხა ბილბაოს „ატლეტიკი“ — 2:0. მეორე ბურთი ყოფილი თანაკლუბელების კარში ხულიო სალინასმა გაიტანა.

სხვა შედეგები. „სევილია“ — „ვალიადოლიდი“ — 2:2, „რეალი“ (მადიორკა) — „რეალი“ (მურსია) — 1:0, „რასინგი“ (სანტანდერი) — „უნიონი“ (ლას-პალმასი) — 1:0, „ოსასუნა“ — „რეალი“ (სარაგოსა) — 1:0, „რეალ-სოსიედადი“ (სან სებასტიანი) — „ბეტისი“ — 1:0.

გაიმართა თასის მეოთხედფინალური შეხვედრები. „ოსასუნა“, რომელმაც შეჯიბრებიდან „ბარსელონა“ გამოთიშა, პირველ თამაშში დამარცხდა მადრიდის „რეალთან“ — 1:2. მადრიდის „ატლეტიკომ“ მოუგო მალიორკის „რეალს“ — 1:0, ბილბაოს „ატლეტიკმა“ — „ლოგრონიესს“ — 2:0, ხოლო მალიორკის „ატლეტიკოსა“ და სან სებასტიანის „რეალ-სოსიედადის“ შეხვედრა ფრედ (0:0) დამთავრდა. გარმეორებითი შეხვედრები ორი კვირის შემდეგ გაიმართება.

„ბარსელონა“	29	40:17	42
„რეალი“ (მადრიდი)	29	51:25	41
„ესპანიოლი“	29	47:26	38

იტალია

მე-20 ტურის მატჩებიდან ყველაზე დიდი ინტერესი მილანის ორი გუნდის — „ინტერისა“ და „მილანის“ შეხვედრამ გამოიწვია. ანგარიში „ინტერის“ თავდამსხმელმა ალტობელიმ გახსნა, მაგრამ მეორე ტაიმში „მილანმა“ ორი გოლი გაიტანა (გალდერიზი და ვირდისი) და გაიმარჯვა — 2:1. „ნაპოლი“ საკუთარ მოედანზე „სამპდორიას“ შეხვდა. სტუმართა თავდამსხმელის ლორენცის გოლს „ნაპოლიმ“ მარადონას გოლით უპასუხა — 1:1. კარბრინის ბურთმა გამარჯვება მოუტანა „იუვენტუსს“ „ფიორენტინასთან“ შეხვედრაში — 1:0.

სხვა შეხვედრები: „ასკოლი“ — „ატალანტა“ 2:1, „ბრეშია“ — „რომა“ 1:1, „კომო“ — „აველინო“ 1:2, „ემპოლი“ — „ტორინო“ 2:0, „ელასი“ (ვერონა) — „უდინეზე“ — 3:1.

„ნაპოლი“	20	33:12	31
„იუვენტუსი“	20	28:16	27
„ინტერი“	20	25:11	26
„რომა“	20	29:15	26
„მილანი“	20	21:11	26

ინგლისი

შაბათს „ლივერპულმა“ დაამარცხა „საუთჰემპტონი“ — 1:0. ბურთი გაიტანა ჯონ ოლდრიჯმა, რომელიც „ლივერპულმა“ ახლახანს შეიძინა „ოქსფორდ იუნაიტედისგან“. დანარჩენი ორი ლიდერი სტუმრად თამაშობდა და ფრედ — 0:0 დაამთავრა შეხვედრები „ევერტონმა“ — „მანჩესტერ იუნაიტედთან“, ხოლო „არსენალმა“ — „ოქსფორდ იუნაიტედთან“.



საერთაშორისო ფეხბურთი:
ევროპიელი,
სამხრეთელები

„კოვენტრი სიტი“ — „ჩარლტონი ათლეტიკი“ 2:1, „ლუტონ თაუნი“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ 2:1, „ნორვიჩ სიტი“ — „ასტონ ვილა“ 1:1, „ნოტინგემ ფორესტი“ — „ჩელსი“ 0:1, „ქუინზ კლაპ რეინჯერსი“ — „მანჩესტერ სიტი“ 1:0, „შეფილდი“ — „უოტფორდი“ 0:1, „უიმბლდონი“ — „ნიუკასლ იუნაიტედი“ 3:1, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „ლესტერ სიტი“ 5:0.

„ევერტონი“	29	53:23	55
„ლივერპული“	29	52:29	55
„არსენალი“	28	42:16	54

საფრანგეთი

24-ე ტურში ლიდერებმა მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს. ბორდოს „ჟირონდამ“ დაამარცხა „ნანტი“ — 2:0. ბურთები ზლატკო ვუიოვიჩმა და ფარეანმა გაიტანეს. მარსელის „ოლიმპიკმა“ მოუგო „რენს“ — 1:0. (პაპენი). ჩემპიონი „პარი სენ ჟერმენი“ კვლავ წარუმატებლად თამაშობს. ამჯერად იგი თავის მოედანზე დამარცხდა „ნიცასთან“ — 0:3.

„ლავალი“ — „ოსერი“ — 0:2, „მონაკო“ — „ბრესტი“ — 0:1, „ტულუზა“ — „სენტ-ეტიენი“ — 2:1, „ლანი“ — „მეცი“ — 0:0, „სოშო“ — „რასინგი“ (პარიზი) — 0:1, „ნანსი“ — „ლილი“ — 0:1, „ლე ავრი“ — „ტულონი“ — 1:1.

24 თამაშის შემდეგ 34 ქულა აქვთ ბორდოს „ჟირონდასა“ და მარსელის „ოლიმპიკს“.

გერმანია

ფიოლერის ორმა გოლმა გამარჯვება მოუტანა „ვერდერს“ „ჰამბურგთან“ შეხვედრაში — 2:1. „ბაიერნმა“ მოუგო „ფორტუნას“ — 3:0.

„ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი) — „კაიზერსლაუტერნი“ 0:1, „ვალდჰოფი“ — „შალკე-04“ 2:0, „ჰამბურგი“ — „შტუტგარტი“ 2:1, „აინტრახტი“ (ფრანკფურტი) — „კოლონი“ 1:2, „ბოხუმი“ — „ნიურნბერგი“ 0:1.

19 ტურის შემდეგ „ბაიერნს“ 27 ქულა აქვს, „ჰამბურგს“ — 26, „კაიზერსლაუტერნს“ კი — 24.

ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას „ვერდერის“ თავდამსხმელი ფიოლერი — 12 გოლი.

ჰოლანდია

21-ე ტურის შეხვედრა „დენ ჰაგასა“ და „აიაქსს“ შორის სტუმართა უპირატესობით მიმდინარეობდა. როცა ანგარიში იყო 2:0 „აიაქსის“ სასარგებლოდ, „დენ ჰაგის“ გულშემატკივრები, რომლებიც საერთოდ უდისციპლინობით გამოირჩევიან, გადავიდნენ მინდორზე. მიუხედავად ამისა, რომ პოლიციის ჩარევამ მაყურებლები დაშოშმინა, შეხვედრის გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

„ეინდჰოვენი“ — „ვეენდამს“ 4:0, „გრონინგენი“ — „ფეიეენოორდი“ 1:0, „ტვენტე“ — „დენ ბოსხი“ 0:1, „ზვოლე“ — „ვენლო“ 1:1, „ჰაარლემი“ — „აზ-67“ 1:1, „ექსელსიორი“ — „ფორტენა“ 3:2, „სპარტა“ — „გოუ ეჰედ იგლზი“ 1:1.

„აიაქსს“ 36 ქულა აქვს (21 თამაში), ხოლო „ეინდჰოვენს“ — 35 (20 თამაში).

ბელგია

„ბრიუგე“ — „სერკლ ბრუგე“ 1:0, „სერანჟ“ — „ბერხემი“ 0:4, „შარლეროა“ — „ანდერლეხტი“ 0:2, „მოლენბეკი“ — „ბევერენი“ 2:2, „კორტრეიკი“ — „გენტი“ 3:0, „სტანდარდი“ — „მეხელენი“ 0:1, „რესინგ იეტი“ — „ვარეგემი“ 1:1, „ლოკერენი“ — „ანტვერპენი“ 1:0, „ბეერსხოტი“ — „ლიეჟი“ 1:0.

21 ტურის შემდეგ „ანდერლეხტს“ 35 ქულა აქვს, „მეხლენს“ — 33, „ბევერენს“ — 31.

პორტუგალია

„პორტუ“ — „აკადემიკა“ 1:0, „ბოავიშტა“ — „ბენფიკა“ 0:2, „ელვაში“—„ვიტორია“ (გიმარაეში) 0:0, „ფარენსე“ — „შავეში“ 4:0, „ვარზიმი“ — „სალგეირუში“ 1:1, „სპორტინგი“ (ლისაბონი) — „ბელენენსეში“ 4:2, „სპორტინგი“ (ბრაგა) — „პორტიმონენშე“ 3:0, „მარიტიმუ“ „რიუ ავე“ — 2:0.

21 თამაშის შემდეგ ლიდერობს „ბენფიკა“ — 36 ქულა. „პორტუს“ 34 ქულა აქვს, „ვოტორიას“ — 32.

სიღნაღის ხალიჩაზე

სიღნაღის ახალ სპორტკომპლექსში ჩატარდა რესპუბლიკური პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში 1971-1972 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის. შეჯიბრებაში 250-მა ჭაბუკმა-ფალავანმა იასპარეზა. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: გია ჭადაშვილმა (თბილისი), გელა ჭოლაძემ (ქუთაისი), ზაზა ედიბერიძემ (სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი), ვლადიმერ ძოწენიძემ (ქუთაისი), ელდარ ფუხაევმა (თბილისი), მალხაზ კვირიკეიშვილმა (ქუთაისი), დავით ფრანგიშვილმა (თბილისი), ზაზა მაისურაძემ (საგარეჯო), რუსლან ზარანდიამ (სოხუმი), ჯუმბერ ქვრივიშვილმა (სიღნაღი) და ვეფხვია ანთიძემ (მახარაძე).

ცისფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 5 მარტი. დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საკალათბურთო მიმოხილვა — **19.45 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) — **20.30 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **21.30 (2).**

6 მარტი. დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2).**



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

10 მარტი ● ფეხურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი, სეზონის გახსნა

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)

დასაწყისი 19.00 საათზე.

მატჩზე დასასწრები ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 5 და 6 მარტს, ხოლო სტადიონის სალაროებში — 5 მარტიდან. აბონემენტების მფლობელებს შეუძლიათ ლატარიის ბილეთების შეძენა № 7 სალაროში.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებისა და წმმულო ომის მონაწილეთათვის ომუშავებს № 6 სალარო.

სალაროები ღიაა 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06799

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.